ოთხშაბათი, 1918 წ. მაისის 15 № 91

ოთხშაბათი, 1918 წ. მაისის 15 № 91

წელიწადი მეოთხე

ფასი თბილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 35 კაპ.

საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უსასყიდლოდ გამოგზავნილი მასალა უფასოდ იბეჭდება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

კ ო ნ ტ ო რ ა

პირველი აპრილიდან ხელის მოწერის პირობები მხოლოდ [illegible] თვით და [illegible]—18 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 6 მ. და 50 კ. ცალკე № 30 კ. განცხადების ფასი: სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორკეცი იქნება. ხაზგასმულიანი განცხადება თითოეული ზომით: 20×2—15 მანეთი, 30×2—20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 1 მან. ქალაქს გარეთ 1 მ. და 50 კ. ფულები და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. სასწრაფო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ. почт. ящикъ № 76. ტელეგრამების ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

საგულისხმიერო ცნობები

უკანასკნელ ბრძოლის დროს დასავლეთის ფრონტზე ინგლისელებს 604 ათასი მებრძოლი დაჰკარგვიათ.—აპრილის განმავლობაში გერმანელებს ინგლისელების 271 ჰაეროპლანი დაუღუპავთ.

ამიერკავკასიის ჯარების მთავარსარდლად დაინიშნა გენერალ მაიორი კვინიტაძე.

ღრმად დამწუხრებულნი დედა მართა, ძმა ბესო თავის შვილებით: ანტონი, ვანო, ანეტა, ოლია, მელანია და ცაცე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ მძიმე ავადმყოფობის გამო გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი შვილი

თეოფანე ბესოს ძე მაკალათია

დაკრძალვა მოხდება დღეს, ოთხშაბათს ს. სეფიეთში.

1—1615—1

ღრმად დამწუხრებული პელაგია ეროგოლის ასული ხუციშვილისა შვილებითურთ აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასის მეუღლის

მღ. ნიკოლოზ (ნიკო) იოაკიმეს ძე ხუციშვილისას

გამოსვენება ს. ჩოჩეთში (სადგური გრაკალი) 16 მაისს დილის 10 საათზედ.

1—1

ქართველ მხედართა კავშირი აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ შაბათს, 11 მაისს, ბნელმა ძალებმა მოჰკლეს კავშირის ჯარის-კაცი

ილია გაგნიძე

ცხედარის გამოსვენება მიხეილის საავადმყოფოს ეკლესიიდან ოთხშაბათს, 15 მაისს. დილის 10 საათზე.

1—1

მეშვიდე პოლკის საგანგებო მხედრული რაზმი, შედგენილი ქართველ მხედართა კავშირისაგან, რომელიც იცავს საქართველოს ეროვნულ საბჭოს, მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ შაბათს, 11 მაისს, ნაძირალებისაგან ვერაგულად მოკლულ იქმნა ამხანაგი

ილია გაგნიძე

ცხედრის გამოსვენება მოხდება ოთხშაბათს, 15 მაისს, მიხეილის საავადმყოფოს ეკლესიიდან დილის 10 საათზე.

1—1

საშინაო და საგარეო

საქართველოს პოლიტიკური ვითარება ფრიად რთულია. საშინაო და საგარეო მდგომარეობა ერთნაირად გამოურკვეველია. ბათუმის საზავო კონფერენცია არ სჩქარობს და ჩვენ არ ვიცით რას მოგვიტანს ის. ხალხის საერთო სურვილია, რომ დიდის ხნით სანატრელი ზავი ჩამოვარდეს ჩვენსა და ოსმალეთს შორის და ოთხი წლის ომით დაქანცულ ერს მშვიდობიანი ცხოვრება ეღირსოს. მშვიდობიანობის წყურვილმა ბევრი დაგვათმობინა. ზავის წყურვილმა დაასუსტა ქვეყნის სამხედრო ძალა და გაჰთელა ხალხის თავდაცვის ინსტიქტი. ასეთს პირობებში ძნელად არის მოსალოდნელი ისეთი ზავის პირობები, რომელნიც მძიმე და აუტანელი არ იქნება საქართველოს თავისუფალ განვითარებისათვის. ყველა ამ უბედურების თავიდან აცდენა იქნებ ჩვენს ხელთ არ იყო. მსოფლიო ომს და რუსეთის ბატონობას თავის მძიმე შემკვიდრეობა ჰქონდა, მაგრამ ბევრი რამის თავიდან აცდენა შეგვეძლო, რომ ჩვენ მეტი წინდახედულობა და გონიერება გამოგვეჩინა. დღეს თუ ყოველდღე გვკარნახებენ, წინეთ გვქონდა შემთხვევა მორიგების და შეთანხმების და ეს შეთანხმების პირობები შეუდარებლივ უფრო მსუბუქი იქნებოდნენ ჩვენთვის დღევანდელზე შედარებით.

საგარეო საქმის გართულება პირდაპირი შედეგი შეიქმნა იმ შინაურ პოლიტიკურ ვითარების, რომელიც ჩვენში დამყარდა. საშინაო ძალთა დაშლამ და დაქსაქსვამ, სახელმწიფოებრივი მექანიზმის უქონლობამ და ეროვნული ცხოვრების საერთო დარღვევამ შესაფერისი შედეგები გამოიღო საგარეო დიპლომატიაში და ბრძოლის ველზედაც. საქართველოს მიწა-წყლის დაცვა და მასზედ მზრუნველობა, სამშობლოსთვის თავ-განწირვა და მამულისათვის თავდადება არ ახასიათებდა ჩვენს არც საშინაო და არც საგარეო პოლიტიკას. სამშობლო მიწა-წყლის დაცვა სულ სხვა სულიერ განწყობილებას და განცდას მოითხოვდა. სულ სხვა დროშა და ლოზუნგები უნდა წამოგვეძღვარებინა იმ ლაშქრისათვის, რომელიც სამშობლოს საზღვრების დასაცავად განვამზადეთ. რევოლიუციონური, კლასიური თუ პარტიული დროშები უფრო შესაფერისი ყოფილა ქალაქში მშვიდობიანი სეირნობისათვის, ვინემ ბრძოლის ველზე. ეს ლოზუნგები და ეს დროშა საშინლად დამარცხდა ყველა ფრონტზე და ყველა ველზე. საშინაო ცხოვრებაში მან ანარქია გამოიწვია. სამოქალაქო ომი, უწესრიგობა, პიროვნების სიცოცხლისა და თავისუფლების დაუცველობა, ძალმომრეობა ყოველგან და ყოველთვის—აი ის ყვავილები, რომელნიც აღმოაცენა იმ უკიდურეს სოციალისტურ და რევოლიუციონურ მიმდინარეობამ, რომელთაც აქამომდე დაბრმავებული და თავდა ახვეული იყო ქართველი ხალხის უმრავლესობა.

ქართველი ერი ამ უკიდურეს მიმართულებისაგან ხსნას და შველას ელოდა. მას ყოველივე სიკეთეს ჰპირდებოდენ—მიწას, თავისუფლებას, მშვიდობიან ცხოვრებას, სულიერად ამაღლებას და ქონებრივ კეთილდღეობას. არც ერთი ეს დაპირებები ხალხს არ გაუმართლდა და ამის ნაცვლად მას ეწვია საერთო ანარქია, უწესოება და ძალმომრეობა, უსამართლობა და უკანონობა. ამის შემდეგომ გასაგებია, რომ ხალხში საშინელმა უკმაყოფილებამ იჩინა თავი დღევანდელი მის მეთაურებისადმი. თვით ამართველ წრეთა გაზეთები არ მალავენ, რომ მათმა მოღვაწეობამ ხალხს ძველი რეჟიმის საშინელება, ძველი მათრახი და ძველი სტრაჟნიკი მოაგონეს.

ხალხის გონიერ ნაწილს, იმ შეგნებულ ელემენტებს ლონისძიება ჰმართებს, რომ ხალხი ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში არ ჩავარდეს.

ხალხის თვალში უნდა აღდგენდეს თავისუფლებისა და თანასწორობის იდეალები, განაცადი საშინელებით დამცირებული და საგულგატეხილი. ხალხმა უნდა შეიგნოს, რომ დემოკრატიული წყობილება სულ სხვაა, ვინემ იყო ის, რასაც ჩვენ აქამომდე განვიცდიდით, რომ დემოკრატიული წყობილება ჰგულისხმობს ნამდვილს თანასწორობას და თავისუფლებას, წესრიგს და მშვიდობიანობას და არა ძალმომრეობას და ხალხის ინტერესების და სურვილების აბუჩად აგდებას, რასაც ჩვენს ხალხში დემოკრატიულ მოღვაწეობად ასაღებდენ და მით მას სახელს უტეხდენ.

გულწრფელი აღსარება

არა ერთხელ გვითქვამს, რომ შინაურ უწესოების მოსპობაში და ანარქიასთან ბრძოლაში მენშევიკურმა მთავრობამ ვერ გამოიჩინა ჯეროვანი სიმტკიცე სიფხიზლე, რომ ის „სოციალისტური საშუალებანი", რომელთაც მიმართავდენ ანტისაზოგადოებრივ ელემენტების მოსარჯულებლად, მიზანს ვერ აღწევენ, რომ ერთად-ერთი ნამდვილი საშუალება თუნდ „რევოლიუციონურის" წესწყობილების დასამყარებლად (ეს თერმინი მოსწონთ ჩვენს ესდეკებს)—რეალი ძალაა და ეს ძალა—ჯეროვნად მოწყობილი მართველობა, ამ მთავრობის ისეთს პირობებში ჩაყენება, რომ მისი ბრძანება დაუყოვნებლივ სრულდებოდეს, მისს საქმეში არავითარი კომიტეტები (თუნდ „ზაქსორადების" კაბალისტურ სახელწოდებით) არ ერეოდენ, ხოლო მთავრობის ურჩთა წინააღმდეგ სასტიკი ზომები იქმნას მიღებული.

ჩვენის ასეთის „კონტრ-რევოლიუციონურის" აზრებისათვის არა ერთხელ გვაცვეს ჯვარზე, რა ერთხელ გვამტკიცებდენ სულ წინააღმდეგს მთავრობის ოფიციოზის „ერთობის" ფურცლებზე.

მით უფრო მეტის სიამოვნებით ვამჩნევთ დღეს გამოფხიზლებას ამ „ერთობის" და მის პუბლიცისტებს, მათში სახელმწიფოებრივის მართვა-გამგებლობის უცილობელ საჭიროების შეგნებას, თუმცა,—სიმართლე უნდა ითქვას, მეტად დაგვიანებულის ტემპით.

მეტად დამახასიათებელია ამ მხრივ „ერთობის" მე-94 ნომერში მოთავსებული წერილი ანანისა ამ სათაურით: „რა მოხდა სამეგრელოში".

არკვევს რა ხალხის უკმაყოფილებას და ბოლშევიკების ქადაგების მიერ ნიადაგის მომზადების მიზეზს სამეგრელოს ზოგიერთ სოფლებში, ავტორი აღიარებს:

„ნიადაგი უკვე მზათ იყო: საკმარისი იყო ომში წასვლაზე უარის თქმა, მობილიზაციის წინააღმდეგ წასვლა და „[illegible]" წინააღმდეგ გალაშქრება, რომ ჯარის კაცების დიდი უმრავლესობა თავის მხრივ [illegible]" (ადგილობრივ ბოლშევიკების „ბელადს").

…„ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები თითქმის გამოუკლებლივ თავს „ბოლშევიკად" (ასე ეძახდნენ) აღიარებდენ. სოფლის მცხოვრებთა საგრძნობი ნაწილიც თანაგრძნობას უცხადებდა მათ.

„არც გასაკვირია: **სოფლის გლეხობა რევოლიუციიდან მოელოდა მიწას, თავისუფლებას და მტკიცე წესწყობილებას.** (ხაზს ყველგან ჩვენ ვუსვამთ). პირველის ნაკლებობაა საერთოდ მარტვილის რაიონში და ამით დაუკმაყოფილება მათი ყოველგვარ რევოლიუციის ძალდონეს აღემატებოდა. თავისუფლება თუმცა მიიღო, მაგრამ ცუდათ გაიგო. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ საერთოდ სოფლებშიაც რევოლიუციონური წესრიგი თანდათან ირღვევა, **ადმინისტრატიული ძალა ხუსტდება. „სოციალისტური" ზომები დამნაშავეთა წინააღმდეგ მიზანს ვერ აღწევენ. ხალხში უკმაყოფილება იზრდება. ამას ხელს უწყობს ხსენებულ მარტვილის რაიონში შიმშილობა და** სხვ. აგრეთვე აღსანიშნავია ისიც, რომ ეგრედ წოდებული ბოლშევიკური მოძრაობა იწყება სწორედ იმ რაიონებში, რომლებიც გეოგრაფიულად დაშორებულნი არიან ცენტრებს აბაშა-სენაკს და **მოკლებულნი არიან რეალური ძალის გავლენას.** ამ ძალას ისინი ხედავენ ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარისკაცთა ხელში, რომლებიც ყოველგვარ კრებებზე იარაღით ტერორს ახდენენ მცხოვრებლებზე და მასას თანდათან აბოლშევიკებენ"…
და სხვ.

„…აი ასე დამთავრდა ეს ტრაგედია. მაგრამ საქმე გათავებულად ჯერ არ ჩაითვლება. მოსალოდნელია უარესი ამბებიც. **პროპაგანდისტის დრო წავიდა. დღეს საუკეთესო პროპაგანდისტია თოფი-ხიშტი** (უკანასკნელი ორი სიტყვა დედანშიაც ხაზ-გასმულია). სოფლის ხალხს სწყურია ძალა, მტკიცე მთავრობა. თუ ეს დროზე არ იქმნა მოწესრიგებული, სოფელს ყველგან ანარქია დაეპატრონება და მით რევოლიუციის ის მონაპოვრებიც ხელიდან გაგვექცევა, რომელიც ჯერ კიდევ შეგვრჩენია ხელთ. საჭიროა დაუყოვნებლივ მუდმივ რაზმების ჩაყენება დაბებში. სენაკის მაზრას დასჭირდება 200—250 კაცი. რაზმი სასტიკად უნდა შეებრძოლოს კონტრ-რევოლიუციონერებს. არავითარ ლმობიერ „სოციალისტურ" მოქცევას დამნაშავესთან ადგილი არ უნდა ჰქონდეს. მხოლოდ ამ გზას შეუძლიან იხსნას რევოლიუცია, მხოლოდ ამ გზით შეიძლება ხალხის სიმპატიის დამსახურება".

ასეთია სიტყვა-სიტყვით, მცირე შემოკლებით, გულწრფელი აღსარება ესდეკთა ოფიციოზისა.

ამოწერილის კომენტარიებს და კრიტიკას არ შევუდგებით. მხოლოდ ანანისავე სიტყვების საილიუსტრაციოდ, რომ ხალხს ძლიერი მთავრობა სწყურია, მოვიყვან აქ ერთს ფრიად დამახასიათებელს დიალოგს, რომელსაც ამ ერთის წლის წინათ ჰქონდა ადგილი, როცა ბოლშევიკების ხსენებაც არ იყო ჩვენს სოფლებში და რომელიც ძლიერად აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში.

ვესაუბრებოდი ერთს სოფლელს გლეხს.

გამოვკითხე სოფლის ამბავი. ვთხოვე გაეზიარებინა ჩემთვის თავისი გულწრფელი შეხედულობა არსებულ მდგომარეობაზე.

გლეხმა აქეთ იქით მიიხედ-მოიხედა და რა ნახა, რომ ოთახში მარტონი ვიყავით, დაბალის ხმით მითხრა:

— გეტყვი, შენი ჭირიმე, გულ-ახდით გეტყვი, ვიცი არ გამცემ.

— დრო კარგია, ეს ხალხი არ ვარგა, შენი ჭირიმე. მთავრობა არა გვყავს, არა.

— წინად ი პრისტავი რო გვყავდა, ქრთამსაც აიღებდა, ხალხსაც აწიოკებდა, მაგრამ ი უფროსობა მაინც ეტყობოდა, ძალა ჰქონდა ხელში… აი მა—ლი რო იყო და მათრახს მოგვიქნევდა, რჯულსაც შემოგვაგინებდა—ეტყობოდა რო მთავრობა იყო, ისე იტყოდი: იმის მათრახის და გინების ჭირიმე! სულ ზანზარს დაგვაწყებინებდა, სულა!.. აი მთავრობა ის იყო! ხშირად უსამართლო იყო, მაგრამ მაინც უფროსი იყო, ძალა ეტყობოდა…

— ეხლა კი რაღაა!—ჩაიქნია ხელი გლეხმა—ეხლა მთავრობა სადღაა! ეხლანდელ მთავრობას, შენი ჭირიმე, ძა-

და არა აქვს, ფოლადი აკლია, ფოლადი!..—აი იმ დღეს ქურდები დავიჭირეთ და ჩვენ კომისართან მივიყვანეთ (ქალაქიდან გამოგვიგზავნეს, ეს აირჩიეთო... ავირჩიეთ კიდეც)... მერე იცი რა ქნა, შენი ჭირიმე, იმ კომისარმა? აიდო და ლაპარაკი დაუწყო ქურდებსა: „ამხანაგო ქურდებოო"... სულ ისე ჰკვიანად ელაპარაკა, ბოლოს აიდო და სულაც გაუშვა: პატიოსანი სიტყვა მომცეს, აღარ იქურდამენო... აბა, შენი ჭირიმე, ქურდის პატიოსანი სიტყვა ვის გაუგონია?! ვინ ქურდი და ვინ პატიოსანი სიტყვა?! მგლის თავზე სახარება ვის წაუკითხია? ეგრე თუ დაიწყეს, შენი ჭირიმე, აღარ გვეცხოვრება, აღარა! სულ შეგვჭამენ, ვინც თავზე ხელაღებული ხალხია...

ასე ჰგოდებდა ჩემი ნაცნობი გლეხი ამ ერთის წლის წინად, ამასვე მოსთქვამს დღეს გაზეთი „ერთობა".

ჩვენმა განათლებულმა მესვეურებმა ძლივს შეიგნეს დღეს ის, რაც დიდი ხანია ნათელი იყო ხალხის საღი ჭკუისათვის.

შეუპოვარი.

რას ნიშნავს ეს?

„თბილისის ფურცლის" № 94-ში ვკითხულობთ: „სომეხთა ეროვნულმა საბჭომ გადასწყვიტა აეკრძალოს (!) ლტოლვილ სომხებს ჩრდილოკავკასიაში წასვლა შავი ზღვის პორტებით და საქართველოს სამხედრო გზით".

როდესაც უკრაინელ - გერმანელთა მიერ დაპყრობილ ადგილებში არ უშვებდნენ ლტოლვილთ, ეს ადვილი გასაგები იყო.

როცა შავის ზღვის პირას მდებარე რუსეთის ქალაქები არ იღებდნენ არარუს გამოქცეულებთ, ეს ბუნებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

ხოლო როდესაც სომეხთა ეროვნული საბჭო სჩადის ამას, უკრძალავს თავისის ერის ლტოლვილთ ჩრდილოკავკასიისაკენ გამგზავრებას, სადაც ადგილობრივი წრეებიც არ უკრძალავენ უცხოელებს დასახლებას—ეს ერთობ გაუგებარი და აღმაშფოთებელია.

მართლაც, ჩვენ კარგად ვიცით, რომ დღეს ბაქოზე რუსეთისკენ წასვლა შეუძლებელია, დანარჩენი გზები კი, როგორც ზემოთ ნათქვამია, სომეხთა ეროვნულმა საბჭომ „შეჰკრა".

ესე იგი აშკარად და გარკვეულად დაადგა საქართველოში სომხობის ძალდატანებით დასახლებას, საქართველოში სომხეთის ხელოვნურად შექმნას...

ჩვენი მმართველი წრეები კი ერთმანეთს ეჯიბრებიან გადმოხვეწილთათვის რაც შეიძლება მეტის სტუმართმოყვარეობის გამოჩენაში.

რა ნიშნავს ეს?!

გურჯი.

პრესა

გაზეთი „ვოზროჟდენიე" სომეხ ლტოლვილთა საქართველოში ჩასახლების შესახებ სწერს.

„სომეხი ლტოლვილები დღითიდღე ემატებიან თბილისს, აქედან მათ ასახლებენ ჯერჯერობით აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში. მათ წინააღმდეგ არავითარ ზომებს არ ღებულობენ, და მალე საქართველოს უცხო ტომთა ელემენტები დაეპატრონებიან.

ამ რუსეთის ბატონობის დროს ამ გზით ხელთ იგდეს საქართველოს მიწების მთელი რაიონები, როგორც ახალქალაქის, ახალციხის, ბორჩალოსა და თბილისის მაზრაში ისე სიღნაღის, თელავის და გორის მაზრის ნაწილებში.

მიუმატეთ ამ რაიონებს კიდევ 200 ათასი სომეხი ლტოლვილი და საქართველოზე მხოლოდ მოგონებადა დაგრჩებათ. ის 15 მილიონი მანეთი, რომელიც გადადებულია ლტოლვილთა სასარგებლოდ მინისტრ კაჩაზნუნის განკარგულებით უნდა მოხმარდეს უმთავრესად არა ლტოლვილთა გამოკვებას, არამედ მათ დასახლებას და მოწყობას.

მიწადმოქმედების სამინისტროს ერთ ერთ მეთაურთაგანმა მოითხოვა თბილისის გუბერნიაში სომეხთა დასახლების რუკა. სომეხთა კომიტეტებს გადაუწყვეტიათ დროებით სომხები დაასახლონ იქ, სადაც სომხები უკვე მოსახლეობენ.

როგორ შეხვდება სოფლის გლეხობა ამის გამოცნობა ძნელი არ არის.

სოფელში მიწა გლეხებსაც არ ყოფნით და რა თქმა უნდა მტრულად დაუწყებენ ცქერას ახლად ჩასახლებულ ელემენტებს.

დასასრულ გაზეთი სწერს:

აუტანელ მდგომარეობაში არიან სომხები, მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ სომხურ საზოგადოების ხელმძღვანელნი მაინც შეიგნებენ, თუ რა უბედურება ელის ლტოლვილთაგან, როგორც ქართველებს, ისე სომხებს, შეიგნებენ, რომ იქმნება ისეთი პირობები, რომლებიც მათ შორის შუღლს აღვივებენ.

ამიტომ მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ზომები, რათა 1. სომეხი ლტოლვილები დარჩნენ იმ ადგილებში სადაც ეხლა იმყოფებიან, ანდა რაც ყველაზე კარგი იქნება დააბრუნოს თავიანთ სამშობლოში, რისთვისაც შესაძლო გზები უნდა გამოინახოს. 2. საქართველოს საზღვრები დაუყოვნებლივ უნდა ჩაიკეტოს შეიარაღებულ ძალებით ლტოლვილთა წინააღმდეგ.

ომი

ინგლისელთა ზარალი.

შვეიცარიულ გაზეთ „ბერნერ ტაგებლატ"-ის ანგარიშით, რომელიც ლონდონში გამოქვეყნებულ ოფიციალ ცნობებზეა დამყარებული, ინგლისელებმა გერმანელთა უკანასკნელ შეტევის დროს დასავლეთის ფრონტზე 145,000 უკვალოდ დაჰკარგეს, 152,000 დაიხოცათ, ხოლო 307,000 დაიჭრათ, საერთოდ 604,000 კაცი. ეს ციფრი შეადგენს 62 დივიზიის ნახევარს, ე. ი. მთელი ინგლისური ჯარის ნახევარს. გაზეთი დასძენს, რომ ასეთი სისხლისმღვრელი შეტევა დასავლეთ ფრონტს ჯერ არ უნახავს.(„ოსმანიშ. ლოიდ").

თავდასხმა კალეზე.

ინგლისურ გაზეთების სიტყვით აპრილის ბოლო რიცხვებში კალეს თავს დაესხა გერმანის საჰაერო ესკადრა. ნივთიერი ზარალი ძალიან დიდია. („ოსმანიშერ ლოიდ").

რუსეთი

რომანოვების ბედი.

„ნაშ ვეკ"-ი (ჩვენი საუკუნე) სწერს: აპრილის 2-ს ნაშუადღევის 3 საათზე ვოლოგდისკენ წამოიყვანეს ნიკოლოზ მიხეილის ძე. მეორე მატარებლით ვ. მთ. გაემგზავრა სერგი მიხეილისძე და მისი სამი შვილი იოანე, იგორი და კონსტანტინე. სერგის ჰქონდა პერმში დასახლება, მაგრამ ადგილობრივ საბჭომ ამის ნება არ მისცა.

„ვეჩერნი ჩას"-ს (საღამოს ჟამი) ვოლოგდის საბჭოსაგან მიუღია დადგენილება, რომლითაც კატეგორიულად აცხადებენ, რომ რომანოვებს ვოლოგდის მიწა-წყალზე არ მიუშვებენ.

უცხოეთი

რუმინეთის მთავრობის მანიფესტი.

ბუქარესტი. 12 მაისი. ზავის შეკვრის გამო რუმინეთის მთავრობამ გამოსცა მანიფესტი, რომელშიაც სხვათა შორის გამოცხადებულია ნორმალური დამოკიდებულობის აღდგენა მებრძოლ სახელმწიფოებთან და რუმინეთის დარჩენა ნეიტრალ სახელმწიფოდ.

ქრონიკა

თბილისი.

◆ დღეს ნაშუადღევის 2 საათზე შესდგება ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარ კომიტეტის კრება. განსახილველია სასწრაფო საკითხები. წევრების დასწრება სავალდებულოა.

◆ **მთავრობის სხდომა** კვირაში სამჯერ მოხდება: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

◆ **რესპუბლიკის მთავარსარდალი.** ამიერკავკასიის დემოკრატიულ ფედერატიულ ჯარების მთავარსარდლად დაინიშნა გენ.-მაიორი კვინიტაძე.

◆ **რკინის გზის ტარიფი.** გზათა მინისტრს დაევალა გადასინჯოს და მეცნიერულად შეიმუშაოს რკინის გზის ეხლანდელი ტარიფი. განზრახულია ფუფუნების საგნების გადაზიდვა გააძვირონ.

◆ **ტყვარჩელის მაღაროთა მუშების ჯამაგირი.** მთავრობამ დაადგინა ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროების მუშებს მიეცეთ ჯამაგირი 1 აპრილამდე. დანარჩენი მათი მოთხოვნილება უყურადღებოდ იქმნა დატოვებული.

◆ **კოოპერატივთა კავშირი.** ამ დღეებში თბილისში დაარსდა რამდენიმე კოოპერატიულ დაწესებულებათაგან სოფლის ნაწარმოებთა გამსაღებელი და სხვადასხვა საქონლის შემძენი კოოპერატივთა კავშირი, რომლის მიზანია დაეხმაროს სოფლის მეურნეთ თავიანთ ნაწარმოების პირდაპირ ბაზარზე გატანა-გასაღებაში და ამავე მეურნეობისათვის საჭირო ყოველგვარ ხელსაწყო იარაღისა და მასალის შეძენა-მიწოდებაში. კავშირი მოქმედობს უკვე პირველ მაისიდან შემდეგის მისამართით: მოსკოვის ქუჩა № 4.

◆ **ქართველ ქალთა სანიტარული რაზმის კომისია** უმორჩილესად სთხოვს ყველა სათნოების დასა დ ფერშალ ქალს, რომელიც არის ჩაწერილი რაზმში გამოცხადდეს ქ-ნ თარხნიშვილთან, რადგანაც ბევრი მათგანი უკვე დანიშნულები არიან ლაზარეთებში. გაბაევის შესახვევი № 3.

◆ **კოოპერატივ „დახმარების"** მეორე მაღაზია ერევნის მოედანზე, თამამშევის ქარვასლაში, სადაც წინად მოთავსებული იყო ძმ. ფორაქიშვილის მაღაზია, დღეს გაიღება დილის 10 საათზე. მაღაზიის გამგედ მოწვეულია გრ. თაზიშვილი. საზოგადოების ხაზინადრად არჩეულია ზურ. ივ. გველესიანი. ახლო მომავალში მოხდება არჩევანი ახალის გამგეობისა.

◆ **თავდასხმა მატარებელზე.** ერევნიდან აგენტი ფირიდონიძე გზათა მიმოსვლის მინისტრს აცნობებს, № 731 მატარებლის მემანქანის სიტყვით, რომ ყარაბურუნ-მასტარას შუა მატარებელს ქურდები დაესხნენ თავს ორთქმავალი დააზიანეს და მოძრაობა აღარ შეუძლიან.

◆ **დამცველ შტაბის უფროსისაგან.** სახაზინო თეატრმა და საზოგადოებამ იჩივლეს დამცველ შტაბში, რომ სამხედრო პირნი სავალდებულო დადგენილებებს არღვევენ: თეატრის კორიდორებში და ფოიეში თუთუნს ეწევიან, ხმაურობენ და სხვა. ამის გამო შტაბის უფროსი ბრძანებაში ამბობს: ვაფრთხილებ თბილისში მყოფ სამხედრო პირთ, რომ თეატრში და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში წესიერების დარღვევისთვის სასტიკად დაისჯებიან.

◆ **აპრილის განმავლობაში** გორის მაზრაში საადგილმამულო კომისიებს უნდა მიეღოთ 40 კერძო მამული, სულ 3400 დესეტინა.

◆ **თბილისის საგუბერნიო საადგილმამულო გამგეობამ** თითოეულ მაზრისთვის ცალკე შეიმუშავა სია იმ მამულებისა რომლებიც სახალხო მეურ-

თამარ

(დასასრული*)

ძლიერია ფრიად თამარ თავისი გადმოუცემელი და „გამოუთარგმნელი" ძალით. არსებობს პირადი ძალა, რომელიც უშუალოდ მოქმედობს: მას არ სჭირდება არც მაგარი სიტყვა, არც ლამაზი სახე, არც მათრობელი მუსიკა: იგი თავის-თავადია და მოქმედობს თავისთავად. თამარის პიროვნება სწორედ უშრეტი ნაკადულია ამ უშუალო ჯადოსანი ძალის. თამარზე შეიძლება ითქვას იმგვარი სიტყვა, რომელიც ქრისტეს შესახებ წარმოსთქვა ოსკარ უაილდმა რედინგის ციხეში: „სასწაულნი მისნი ისეთივე მშვენიერნია ჩემთვის ვით გაზაფხულის მოახლოვება, და ისეთივე ბუნებითნი... და მე სრულიად არ მიძნელდება ვიწამო, რომ მისი პიროვნების ხიბლიობა ისე ძლიერი იყო, რომ მარტოდ-მარტო მის თანაყოფნას შეეძლო მშვიდობა დაესადგურებინა ტანჯულს სულში, და რომ ადამიანნი, რომელნიც შეეხებოდნენ მის ტანისამოსს ან მის ხელებს, ივიწყებდნენ თავიანთ მწუხარებას; ან და: როცა იგი გაივლიდა ცხოვრების დიდი გზის გვერდით, ადამიანნი, რომელთათვის დახშული იყო საიდუმლო სიცოცხლისა, უეცრად დაინახავდნენ მას, და სხვები, რომელთა სმენა ყრუ იყო ყოველი ხმის მიმართ, ახლა პირველად ისმენდნენ სიყვარულის ხმას და ცნობდნენ მას „ისეთივე ტკბილხმოვანად, როგორიცაა ლირა აპოლლონისა"; ან და: წამხდარნი ვნებანი ჰქრებოდნენ მის მოახლოვების ჟამს, და ადამიანნი, რომელთა გახუნებული, აზრს მოკლებული სიცოცხლე მხოლოდ სიკვდილის ჩვენებას წარმოადგენდა,—თითქო დგებოდნენ საფლავიდან, როცა იგი მოუწოდებდა მათ; ან და: როცა იგი ქადაგებდა სერის დაქანებაზე, ბრბო ივიწყებდა თავისს სიმშილსა და წყურვილს,—და მის მეგობრებს, რომელნიც უსმენდენ მას სუფრაზე დამსხდარნი, ტლანქი საჭმელი რჩეულად ეჩვენებოდათ, და წყალი—ლამაზ ღვინოდ,—და მთელი სახლი ივსებოდა მათთვის ნარდის სიტკბო-სურნელებითა"... ასე ლაპარაკობს ოსკარ უაილდი ქრისტეს შესახებ... ესევე შეგვიძლია მივაფრქვიოთ თამარის სხივოსან სახეს,—რადგან ღვთიურობა, რომელსაც ასხივებდა დიდი ნაზარეველი, რამოდენიმედ მაინც სჩქეფდა თამარის ქალწულ ბუნებაში „დიახ: თამარ ქალწული იყო ბუნებით და მთელი მისი არსება ნათელ მჭურჭელს წარმოადგენდა ღვთიურობის ნაკადისათვის,—და ავსილი იმა ნაკადით, თამარი თავისს სიცოცხლით ასხეულებდა მარადი ქალწულობის იდეას. იდეა მარადის ქალწულობისა,—აი დიადი მოვლენა, რომელიც ჯერ კიდევ ჰელლენთა მზეგრძნეულმა გენიამ გადმოგვიშალა წინ.. ვაჟი ვერ წვდება ქალის ბუნებას სავსებით: მას უყვარს ქალში მხოლოდ ლამაზი მოჩვენება, ნაზის ზეწარში გახვეული; და ამისათვის, რაც უნდა ავხორცი იყოს ქალი, იგი არსებითად უვნებელი რჩება მაინც; აი ძველ ბრძენთა ინტუიცია; ამას შესანიშნავად ამოწმებს არტემიდას კულტი და საიდუმლო წარწერა, აკვეთილი საისის ქალღმერთის, სამოსელში გახვეულის, საფეხურზე: „მე ვარ რაცა ვარ, რაც იყო და რაც იქნება, და არც მომაკვდავს, და არცა ღმერთს არ აუხდია, ჩემი სახურავი". საისის ქალღმერთი იგივეა ეგვიპტეს ნეიტია, რომელიც მზეჭაბუკისაგან ელის დატყვევებას.. ასეთია იდუმალი სწავლა ძველთა... და თუ ამ სახისაა საერთოდ ქალის ბუნება,—მით უმეტეს უნდა ყოფილიყო ასეთი დიდი თამარის დიდი ბუნება... და მართლაც: გიორგი რუსი, როგორც ქმარი, მისთვის სრულიად არ არსებობდა; დავით სოსლანი, როგორც არა თანასწორი ვაჟი, ასეთივე შემთხვევითი იყო მისთვის; და თავი და თავი: ერის რწმენა, რომლის ცნაურებით თამარის ქალობას ქალწულობა ეცისკრონებდა ყოველთვის... და თვითონ რუსთაველის ქნარი განა ამ ქალური ქალწულობით არ არის აჟღერებული?! პლატონური სიყვარული რასაკვირველია ეროტიულია უმთავრესად,—ასეთს სიყვარულს ამჟღავნებდა რუსთაველი მზით ნაკვეთ სიტყვებში,—მაგრამ ნუ დაივიწყებთ: ამ სიყვარულის ეროტიზმი მხოლოდ მზეჭაბუკის მზიურობისათვისაა ატეხილი და მკერდგადაშლილი.. ეს უარის-ყოფა კი არ არის მარადის ქალწულობისა, არამედ ნადვლიანი ვნებაა უკანასკნელის.. დიახ: დიდი თამარ ქალწული იყო ბუნებით და მთელი თავისი სიცოცხლით ამ ქალწულობას ყვავილოვან ჩქეფად ანაკადულებდა.. ეს არის ძალა მისი პიროვნების, ეს არის მისი ჯადოსნობა, ეს არის მისი სულიერი ენერგია, ეს არის მისი მზეოსნობა.. აქ მარხია საიდუმლო „თამარის ფენომენის" გამოცნობისა: თუ რა სხივით იქცა იგი თვალის მომჭრელ ლეგენდად.

* * *

მარადი ქალწულობა ნათელი ვნებაა მზის ვაჟი-შვილის მოლოდინში. თვითონ სული ქვეყნისა მოელის სახსნელად ღმერთს, როგორც ძლევამოსილ საქმროს. და ფრიად საგულისხმოა ის მოვლენა, რომ ქართველმა ერმა (ერთი ქართლველის სიტყვით) „ქალის ცხელი თმებით შეკრული ჯვარით" მიიღო ქრისტე. დიდი თამარ თავის ქალწულობით შეუცნობელ ელოდა ასეთს მზიურს სატრფოს (ამ სიტყვის საიდუმლო აზრით),—მაგრამ მის მოკლე სიცოცხლეში ეს ლოდინი შესაძლოება არ გასცილებია. იგი მოსცილდა ხილულ ყოფას,—ხოლო მის ბუნებაში ჩამარხული შესაძლოება განაგრძობდა სიცოცხლეს: საუკუნეთა სვლაში იგი ისხამდა სხვა და სხვა სახეს, ერთიმეორეზე ლამაზსა და მატყვევებელსა. აი სად არის სათავე თამარის ლეგენდარობის: ქართველთა ისტორიულ შეცნობაში თამარი ცოცხლობდა ყოველთვის,— და რადგან სიცოცხლე წარმოუდგენელია ზრდის გარეშე, ამისათვის იგიც იზრდებოდა თანდათან, იზრდებოდა, ვით თვალის მომჭრელი ნაყოფი შემოქმედი გენიისა. თამარი სხეულდებოდა ისეთს პლასტიურ ფიგურად, რომლის ზმანება მხოლოდ ჰელლენთა გენიას თუ შეეძლო. და თუ ჰელლენთა გენია იმაყებს მენადით, რომელიც ხან ჭურჭელია ღვთიურობის ნაკადულისა და მით ავსილი თავდავიწყებასაა მიცემული, ხან კი აშლილია ვნება-ატეხილი და ილტვის გიჟი დიონისოსისაკენ,—ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ თამარის პლასტიური სახით: როცა მზემ პირველად იხილა ნილოსი, ცეცხლის რგოლებით ეამბორა მისს ათრთოლებულ ტანს; ნილოსის ტალღამ მზის კოცნა დაიჭირა და გაიშალა იგი კოცნა თეთრგულა ლოტოსად; თეთრგულა ლოტოსი—აი ვინ არის თამარ: თამარ ცოცხლობდა როგორც ხორცშესხმული ლეგენდა,—და ცოცხლობს კიდეც. ყოველი ნატეხი საქართველოისა თამარის ლეგენდის ნატეხია უთუოდ. როცა ჩამავალი მზე საქართველოს რომელიმე ნანგრევს უკანასკნელ ამბორს უგზავნის,—ქართველი იმა ამბორში თამარის ღიმილს ჰკითხულობს: როცა შავს უღრან ტყეში უცხო ფრინველი გადაფრინს,—ქართველი მისი ფრთების ფრთქიალში თამარის ზღაპარს დაინახავს. ქართველი თამარის სახით ჰქმნის უთვალავ ლეგენდას: ესა თუ ის ადგილი წმინდაა: —იქ ფრინველს თუ ცხოველს ვერავინ ხელს ვერ ახლებს; რისთვის? მისთვის, რომ იქ ერთხელ თამარ მეფეს გაუვლია. როცა დედას რძე გაუშრება, იგი იდუმალს წყაროს მიმართავს მოსარჩენად,—და მოარჩენს კიდეც; ვისი ძალით? რასაკვირველია, თამარის ძალით: იმ წყაროთი თამარს ოდესმე წყურვილი მოუკლავს. რომელი ერთი მოვთვალო?! საქართველოში ყოველი ფეხის გადადგმა განა თამარის ლეგენდით არ არის აყვავებული?! ყველგან—თამარ, და მარტო თამარ!! განა ოდესმე ქართველის გულის ფართქალში გაჰქრება თამარ როგორც ნუგეში და იმედი?! არაოდეს!! ვინ იცის, ჩვენს უმზეო ცხოვრებაში, სადაც შურისა და შუღლის მეტი არა ისმის რა, მრავალი ქართველისათვის მხოლოდ თამარია ერთად-ერთი ნავთსაყუდარი. ვინ იცის, ჩვენს უმზეო ცხოვრებაში, სადაც აღფრთოვანებას ფრთები ეჭრება „მეშჩანური" მორალისაგან, მრავალი ქართველისათვის მხოლოდ თამარია ერთადერთი ამაფრთოვანებელი მესაიდუმლე. და რამდენია ისეთი, რომლისათვის ამ საშინელ ქვეყანაში საკუთარი სულიც ცხედ გარდაქნილა!! ვინ მისცემს მათ ხსნას? თვალის მომჭრელი ლანდი თამარის!! დიახ, ქართველის გული თამარის სიყვარულით ფართქალობს. და საგულისხმოა ფრიად, რომ თამარის საფლავი დღემდე არავინ იცის. იგი ყველას ეკუთვნის და არავის:—მისი საფლავი ქართველის გულია,—ხოლო ქართველის გრძნობაში ეს „საფლავი" კი არ არის, არამედ ლამაზი საყვავილე სურა, სადაც ყვავილობს უჭკნობი ყვავილი — დიდი თამარ.

* * *

ასეთია დიდი თამარ. და ამ სიყვარულის ღალატი იქნებოდა, თუ შვიდასი წლის თავზე არ ითქვა უკანასკნელი სიმართლე... თამარ პლასტიური ლეგენდაა საქართველოს ისტორიისა, თვალის მომჭრელი და სმენამთრობელი,—მაგრამ იგი მაინც ქალურს მხარეს ასხეულებდა საქართველოს ისტორიაში. ჩვენს ისტორიას კი ვაჟიც ეჭირვება.—ტყვილად კი არ ნაღვლობდა ქალწული თამარი მზიური ვაჟის მიმართ!! და ამ წამს, როცა მსოფლიოს ბედი ცეცხლითა და მახვილით იჭრება, ნდობა იბადება რკინეული:—რომ საქართველოს მოევლინებოდეს ძლევამოსილი მზე-ვაჟი, რომელიც ისეთს ვაჟურს ლეგენდას შექმნის ჩვენს ისტორიაში, როგორიც ქალური შექმნა დიდმა თამარმა. ასეთი ლეგენდა ყველაზე უფრო უკეთესი პასუხი იქნება თამარის ლეგენდისა.

გრ. რობაქიძე.

---

*) იხ. „საქართველო" № 90.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეობის თვალსაზრისით დიდ საფასურს წარმოადგენენ; გორის მაზრაში ამისთანა მამული 13-ა, ბაღებით თითო 10—20 დესეტინა, სადაც შედის აგრეთვე ბორჯომის ფერმა. ზუგდიდის მაზრაში ამისთანა მამული, რომლებშიაც მეჯოგეობა და ფერმებია მოწყობილი სულ 15.

შეცდომის გასწორება

ა. ახათიანის წერილში „გერმანიის მფარველობა" („საქ." № 89) სხვათა შორის შემდეგია შეცდომით დასტამბული პირველი სვეტის ბოლოს: ერის პოლიტიკურ ხელმძღვანელთ, რაც უნდა შესუსტებული (და არა შესრულებული) არ იყოს მათი პოზიციები და სხ. უკანასკნელ სვეტში: „ძველად ასეთ პირობებში დავით აღმაშენებელმა ყივჩაღთა ლაშქარი მოიწვია, გარეშე ძალით საქართველო აღადგინა და ჩვენი ისტორიის ოქროს ხანას საფუძველი ჩაუყარა."

გარეშეს წერილში: „ბათუმის საზავო კონფერენცია" უნდა იყოს დაბეჭდილი: დელეგაციის მრჩევლები: პროფ. ზ. დ. ავალიშვილი, პროფეს. დამბაროვი, ავ. სოფიკურსკი და მ. გ. ხან-ბაბა. დელეგაციის ნაციონალური მდივნები: ს. მ. კედია, ახმედ-ბეგ პეპინოვი და გრუზინინ-ეფიცინი და სხვ.

ეროვნული საბჭო

(იხ. „საქართველო" № 90)

გ. რცხილაძე (სოც.-ფედერალისტი). აღნიშნავს, რომ მენშევიკების მიერ წარმოდგენილი ფორმა არის წმინდა წყლის უნიტარული სახელმწიფო. საინტერესოა მათი არგუმენტაცია. ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი პოლიტიკური გავლენის ქვეშ ვიყოლიოთ არა ქართული ერებიო. ეს ხომ წმინდა წყლის იმპერიალიზმია?

ასევე ასაბუთებენ თავის მოქმედებას ყველა ქვეყნის იმპერიალისტები —ჩვენ გვინდა ველური ტომები გავანათლოთ, კულტურულ გავლენის ქვეშ ვიყოლიოთო. მენშევიკების სიტყვებში მხოლოდ ბატონობის შენარჩუნების სურვილი გამოსჭვივის. მაგრამ ასეთი ძალდატანებითი გავლენა მხოლოდ ძალადობით დამყარდება. განა თქვენ ომი გინდათ?

უპირველეს ის, რაც სახელმწიფოს შინაარს შეადგენს მათ საერთო ცენტრისთვის აქვთ გადადებული. საქართველოს ისეთი საკითხები რჩება, რომელნიც ადგილობრივ თვითმართველობის საგანს შეადგენს. ამიერ-კავკასიის ერებს ერთმანეთის უნდობლობა ახასიათებს. თუ ისევე დავრჩით, როგორც ეხლა ვართ ეს უნდობლობა კიდევ უფრო გაიზრდება და არა შემცირდება.

ჩვენ გვინდა, რომ ამიერ-კავკასია იყოს ძლიერი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამისთვის ის ცენტრალურად მოვაწყოთ. პირიქით მაშინ იქნება ის სუსტი, როგორც დღეს.

ჩვენ რომ ერთი პარლამენტი მოვაწყოთ რა ენაზე ვილაპარაკებთ? დღეს შეიძლება რუსული ენა ვიხმაროთ, მაგრამ მომავალი თაობა რა ენაზედ ილაპარაკებს ამ საერთო პარლამენტში? პოლიტიკური სიტყვები კი არ გადაითარგმნება ისე, რომ მან მთელი თავისი სახე არ დაკარგოს, ვინაიდან ის გრძნობით არის გამსჭვალული, ამიტომ, რომ ჩვენი დემოკრატიის გავლენა უფრო დიდი იქნება თუ ჩვენ ცენტრალისტურად მოვეწყობითო. რით აიხსნება რომ 25 წლის მოღვაწეობაში ჩვენმა სოციალ-დემოკრატიამ ვერ შექმნა ჩვენს მეზობლებში სოციალ-დემოკრატიული პარტიები?

ახსენიძე—ალბათ ძალუმი გვქონდა.

გ. რცხილაძე. ალბათ ძალუმი ჩვენშიაც გქონდათ, მაგრამ აქ კი შექმენით ძლიერი პარტია. თუ ჩვენს მეზობლებშიაც მოიპოვებიან სოციალისტები, ეროვნულ საკითხში ისინიც არ არიან ჩვენ სოციალ-დემოკრატებთან, არამედ თავის ეროვნულ პარტიებთან. ორატორი აცხადებს, რომ მისი ფრაქცია არ არის მომხრე არც ფედერაციის და არც წმინდა კონფედერაციის. ფედერაციისთვის საჭიროა ერთგვარი ნაციონალური მთლიანობა, ეკონომიურ-კულტურული ერთფეროვანება, რაც არ არსებობს ჩვენში. ჩვენ საჭიროდ ვცნობთ შემუშავდეს ერთგვარი შერეული ფორმა.

საერთო ორგანოს უნდა გადაეცეს საკითხები საგარეო, სამხედრო, საბაჟო და საერთო ფინანსები. ეს ორგანო უნდა შესდგეს დელეგაციის წესით, როგორც უნგრეთისა და ავსტრიის შორის. ორატორი კითხულობს პროექტს რომელიც მას შეუმუშავებია.

გ. გვაზავას სიტყვა

(ეროვნ. დემოკ.)

(საქართველოს და ამიერკავკასიის პოლიტიკურ წყობილების საკითხი

მე დიდის ყურადღებით მოვისმინე წინა ორატორები. გულწრფელად გეტყვით: ბ. სერგო ჯაფარიძემ დაამტკიცა, რომ ჩვენში ფედერაცია შეუძლებელია, ბ.ბ. პ. საყვარელიძემ და გ. რცხილაძემ ნათელჰყვეს, რომ კონფედერაციაც აგრეთვე შეუძლებელია (სიცილი). ბატონებო! აქ ამტკიცებდნენ, რომ ფედერაციაში რაც შეიძლება მეტი საკითხები უნდა იყოს გადატანილი ცენტრში, კონფედერაციაში კი—რაც შეიძლება მცირე რიცხვი ამ საკითხებისა. თუ აქ მხოლოდ რიცხვზე და რაოდენობაზეა ლაპარაკი, უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი კონფედერალისტები სჭრიან სწორედ იმ ტოტს, რომელზედაც თვითონ სხედან. თუ კონფედერაციის ცენტრალი ორგანო არის [illegible] უფრო წვრილმანი საკითხების გადასაწყვეტად, როგორ, რა ლოგიკის ძალით, შეიძლება ითქვას, რომ იგივე ორგანო კარგია და ხელსაყრელი უფრო დიდი და მნიშვნელოვანი საკითხებისათვის?! ამბობენ, იქ, კონფედერაციის ცენტრში, უნდა გადავიტანოთ უცილოდ შემდეგი საკითხების მოწესრიგებაო: ა) საერთაშორისო განწყობილებისა, ბ) მოწყობა და გამგებლობა სამხედრო ძალებისა, გ) საბაჟო და საფინანსო საქმეებით. ბატონებო! თუ სასწორის ერთ ფინჯანზე დავსდებთ ამ საკითხებსა და მეორე ფინჯანზე—ყველა დანარჩენ საკითხებსა, რომელთა რიცხვი ოთხი კი არ არის, არამედ შეიძლება იყოს ოთხმოცდაათიც, დამერწმუნეთ, პირველი ფინჯანი უფრო უმალ დაეშვება ძირს, ვინაიდგან სიმძიმე პირველი ოთხი საკითხის პოლიტიკური მნიშვნელობისა შეუდარებლად უფრო დიდია, ვიდრე ყველა დანარჩენი საკითხები. საერთაშორისო განწყობილება, სამხედრო ძალები და საფინანსო პოლიტიკა, ბატონებო,—ეს უმთავრესი ძარღვია, უმთავრესი მხარეები ეროვნული და სახელმწიფოებრივ ცხოვრებისა. თუ ეს უმთავრესი ძარღვები თქვენ გინდათ ერთად მოაგროვოთ და ჩააბაროთ ერთს ხელში, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, თუ რა ხელია იგი? ჩვენ უნდა გადაჭრილად ვიცოდეთ—რა ხელია იგი, რომ ერთ მშვენიერ დღეს მოულოდნელად არ მოგვეჭიროს კისერში და წიწილასავით არ დაგვახრჩოს (ხმები: მართალია).

რაც გინდ რომ უწოდოთ კონფედერაციის ცენტრალ ორგანოს, იქნება იგი პარლამენტი, (როგორც ამბობს ბ. ჯაფარიძე), თუ დელეგაციათა კრება, (როგორც გვირჩევს ბ. რცხილაძე), ეს სულ ერთია. საქმე მხოლოდ იმაშია, რომ არის რაღაც ერთი საერთო ორგანო, არის საერთო მინისტრების კაბინეტიც. ამ ცენტრს მინდობილი აქვს საერთო საქმეების მართვა-გამგეობა და მოწესრიგება. ყველა თანხმაა იმის შესახებ, რომ ამ ცენტრში ქართველი წარმომადგენლობა იქნება უმცირესობა, მაშასადამე, ყოველი საკითხი, დიდია იგი თუ მცირე, უსათუოდ გადაწყდება ისე, როგორც მოისურვებს უმრავლესობა, ე. ი. წინადმდეგ განსაკუთრებით საქართველოს ინტერესებისა. ამ მხრივ არავითარი გარანტია და არავითარი იმედები არ არსებობს, ეს აშკარაა. მივუდგეთ უფრო ახლო საგანს.

ავიღოთ საერთაშორისო განწყობილება, პოლიტიკა და დიპლომატია. თქვენ კარგად იცით, რომ ამ არეში საერთო არაფერია. საქართველოს ორიენტაცია ამ უკანასკნელ დროში მაინც გამოირკვა, რომ იგი მიმართულია ევროპისაკენ, საზოგადო კულტურის და განვითარებისაკენ. აზერბეიჯანი იყურება სტამბოლისაკენ, ეს ხომ საიდუმლო და საეჭვო არ არის, სომხებს უფრო მოსწონს ინგლისი და ბოლშევიკები. ეხლა თქვენ მიპასუხეთ, შეიძლებელია ამ სამ სხვადასხვა მიმართულების, სხვადასხვა სრულებით საწინააღმდეგო პოლიტიკის მორიგება და შეთანხმება? ნეტა დამანახვა ბ. რცხილაძე საგარეო საქმეთა მინისტრად; გარწმუნებთ, რომ იგი მეორე დღესვე რუსულად დაიწყებდა ლანძღვას და მოკურცხლავდა თავის სახლში (სიცილი, ტაში). აქ სრული წინააღმდეგობაა, აქ უნდა იყოს არა ერთი, არამედ სამი მინისტრი, და ეს სამი მინისტრი ყოველდღე ჩხუბსა და დავიდარაბაში იქნებოდნენ, საქმეს კი ვერაფერს გააკეთებდნენ. აიღეთ თუნდაც ასეთი კითხვა, როგორიც არის კონსულის დანიშვნა საზღვარ-გარედ ვთქვათ, სტამბოლში ან ტრაპიზუნდში. ვინ უნდა დანიშნოთ იქ? თუ სომეხს დანიშნავთ, თათარს გადაამტერებთ, თუ თათარს—სომეხს გადაამტერებთ, თუ ქართველს—ორივეს ერთად! აიღეთ კითხვა, რომელიც კი გნებავთ—მოლაპარაკება, სავაჭრო თუ სხვა ხელშეკრულების დადება, თქვენ ყველგან წააწყდებით ამავე შედეგებს. აქ წინააღმდეგობა ბუნებრივია და არსებითი, ამას თქვენ ვერ აიცილებთ ვერავითარი ხერხით და ცბიერით. მაშასადამე, ხელი უნდა ავიღოთ ამ საერთაშორისო საქმეებისათვის რაღაც საკონფედერაციო ცენტრის აღჭურვებას.

ავიღოთ მეორე უმთავრესი საკითხი—სამხედრო ძალების მოწყობა, ჯარი და ფლოტი. რა საკვირველია, ვინაიდგან სამხედრო ძალების დანიშნულება არის საზღვრების დაცვა, აქ ცენტრალიზმი მართვა-გამგეობისა მართლა საჭიროა. უნდა იყოს ერთი ცენტრი, ერთი ბრძანებლობა, რომ ფიცხლავ გადაისხათ ჯარი იქ, სადაც მტერი გვემუქრება. მაგრამ მიაქციეთ ყურადღება რეალი ცხოვრების სინამდვილეს და თქვენ აშკარად დაინახავთ, რომ სწორედ ეს მიზანი მიუღწეველია, თუ იქნება ფედერაცია ან კონფედერაცია. ჯერ ერთი თვით დანიშვნა ერთი მთავარ-სარდლისა შეუძლებელია. ვის დანიშნავთ—ქართველს, სომეხს თუ თათარს? აი მუდმივი წყარო შინაური გაბრეთქილების და დავიდარაბისა. მაგრამ ვთქვათ, შეთანხმდა ყველა და დანიშნეს დიდი ვაივაგლახით ერთი მთავარ-სარდალი. მერე რა? თქვენა გგონიათ, იგი მოახერხებს გადაასხას და გადმოასხას ჯარი ისე, როგორც მოითხოვს მომენტი და სამხედრო სტრატეგია? ნურას უკაცრავად. ვსთქვათ, სახელმწიფოს მოუხდა შეტაკება ოსმალეთთან—რაც გინდ ბრძანება რომ არ გამოსცეს მთავარ-სარდალმა, აზერბეიჯანის ჯარი ადგილიდან არ დაიძვრის. თუ შეტაკება მოხდა რუსეთთან, სომხები ადგილიდან არ დაიძვრიან. შეიძლება, ამ ბრძანებას დაემორჩილოს მხოლოდ ქართველი ჯარი. ეს ხომ ჩვენი ბედია, ჩვენ ყველა ცოტად თუ ბევრად ნაცარ-ქექიები ვართ, ჩვენ უნდა ყველგან ვიცეთ, ყველგან მივაშველოთ შველი, ყველგან ვცდილობთ მოვაწესრიგოთ ყველას საქმე და—ჩვენი თავი კი გვავიწყდება. ბ. რცხილაძე იმაზედაც კი ამბობს, რომ კონფედერაციამ უნდა დაიცვას დემოკრატიული წეს-წყობილება ცალკე სახელმწიფოებშიო. როგორ, აზერბეიჯანმა ან სომხეთმა უნდა აადგინოს საქართველოში დემოკრატიული ცხოვრება? მერე ვინ არის ამის გადამწყვეტი, და ლეგალია თუ არა ეს დემოკრატიული წეს-წყობილება? აშკარაა, ამის გადამწყვეტი იქნება იგივე კონფედერაციის ცენტრალი ორგანო, სადაც უმრავლესობა თათრების ხელში იქნება. ამ ნაირად ჩვენ ჩვენს სამხედრო ძალებს ვაბარებთ ამ ორგანოს და იმასვე ვაძლევთ ნებას ჩაერიოს ჩვენ შინაურ საქმეებში ყოველთვის, როცა კი მოესურვება. რა არის ეს, თუ არა თავის ხელით თავის დახრჩობა?! (ხმები მართალია, მართალი) ბატონებო! ეხლაც არის ასეთი ცენტრი ამიერ კავკასიისა—სეიმი, ეხლაც არიან მინისტრები, აქვე ბრძანდება ბ. ნოე რამიშვილი, რომელიც ფორმალურად თითქმის დიქტატორია. ამის უკეთესი და უფრო ძლიერი ცენტრი ხომ არ იქნება იმ კონფედერაციაში, რომელზედაც აქ არის ლაპარაკი. მერე რა გააკეთა ამ ძლიერმა ცენტრმა საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის? დაიცვა იმან ბათუმი, საინგილო, ან ახალციხე, ან ახალქალაქი?! ვერა! რა უფლება გვაქვს ვიფიქროთ, კონფედერაციაში ჩვენ უსათუოდ გამოვიყენებთ თათრების ან სომხების ძალებს? ეს—ფანტაზიაა და დროა ერთხელ მაინც თავი დავანებოთ ფანტაზიორობას.

ავიღოთ ეხლა საფინანსო და საბაჟო კანონმდებლობა. თუ საგარეო პოლიტიკას ჩვენ ჩვენდა სასარგებლოდ ვერ ვაწარმოებთ, თუ კონფედერაციის სამხედრო ძალებს ჩვენ ვერ მოვიხმართ, მე გეკითხებით თქვენ, რა ჭკუაა ეს კანონმდებლობაც (საფინანსო და საბაჟო) სხვებს ჩავუგდოთ ხელში? ჩვენი ქვეყანა პატარა არისო—რა ვუყოთ მერე? განა ბულგარეთი, შვეიცარია და სხ. პატარა ქვეყნები არ არიან, მაგრამ განა თავის საბაჟო საზღვრები არა აქვთ და არ აწარმოებენ დამოუკიდებელ ფინანსიურ პოლიტიკას? ფინლიანდიამ თავი იხსნა ფინანსიური განკოტრებისაგან—რითი? მხოლოდ იმითი, რომ ჰქონდა თავისი საბაჟო ხაზი და თავისი საფინანსო პოლიტიკა ჰქონდა თავისი ფული: იქ ერთი მარკა ომის წინეთ ღირდა მხოლოდ 25 კაპ., ეხლა კი ღირს 2 მან. და 50 კაპ. აი ამისთანა ფინანსიური ბარიერებით იცავენ თავის თავს თავისუფალი ერები, მიუხედავად იმისა, პატარანი არიან თუ დიდნი. ამიტომ ჩვენ უნდა გვქონდეს ჩვენი საბაჟო საზღვარი, ჩვენი საკუთარი ფულები, ჩვენი საფინანსო პოლიტიკა. აქ ჩვენი უფლებათა შეზღუდვა ჩვენი დაღუპვა იქნება (ტაში).

არ მინდა შევეხო დანარჩენ კითხვებს, რომლებიც მენშევიკების აზრით უნდა გადაეცეს საკანონმდებლო ცენტრს. ამბობენ, უნდა გადაეცეს რკინის გზის საქმეო,—რათა? შვეიცარიამ გაიყვანა სან-გოტარდის გვირაბი სამოცდა ათიან წლებში; ამისთვის ჯერ იგი შეეთანხმა იტალიას, შემდეგ ჩრდილო გერმანიის კავშირმა ამ საქმისთვის შემოიტანა 30 მილიონი ფრანკი, მიუხედავად ამისა რკინის გზა, მისი მართვა-გამგეობა შეუზღუდველად მხოლოდ შვეიცარიის ხელშია; გერმანია ჰქლებულობს მხოლოდ სარგებელს შემოტანილ ფულისას და ისიც მხოლოდ მაშინ, თუ რკინის გზას თავისი წმინდა შემოსავალი ექნება. აი ჩვენშიაც მოდის საკითხია კავკასიის საუღელტეხილო რკინის გზის გაყვანა. რა შუაშია აქ ან აზერბეიჯანი, ან სომხეთი და რად უნდა მიეკუთვნოს იმათ რკინის გზის მართვა-გამგეობა. საუღელტეხილო რკინის გზა განსაკუთრებით საქართველოს ტერიტორიაზე იქნება, საჭირო იქნება მხოლოდ ჩრდილო კავკასიასთან შეთანხმება, სხვა არაფერი. რაც შეეხება დანარჩენ სახელმწიფოებს, მათ შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა მხოლოდ ფულის შემოტანით, ხოლო ეს მონაწილეობა იქნება საყოველთაო; აქ შეიძლება მიიღონ მონაწილეობა ოსმალეთმაც, რუსეთმაც, გერმანეთმაც, მაგრამ სახელმწიფოებრივი სუვერენობა ამ რკინის გზაზე, რასაკვირველია, უნდა დარჩეს მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოს ხელში. ერთის სიტყვით, ჩვენი დამოკიდებულება სხვა სახელმწიფოებთან უნდა იყოს აგებული საერთაშორისო უფლების პრინციპზე. ეს პრინციპები იურიდიულად ჩამოსხმულია ბერნის კონფერენციაში, და წარმოიდგინეთ, გერმანიამ ამ ათი წლის წინეთ აღიარა თავის შინაურ კანონებად. რა გვიშლის ჩვენც რომ ვაღიაროთ იგივე ბერნის კონფერენცია ყველა მისი დამატებებით ჩვენი ეროვნული უფლებად ე. ი. შევიდეთ საერთაშორისო უფლებრივ განწყობილებაში, როგორც სრულ-უფლებიანი წევრი ამ განწყობილებისა? ეს არის ერთად ერთი სწორი და ნამდვილი გზა და ჩვენც ამას უნდა დავადგეთ.

ამ თვალსაზრისით უნდა გადაწყდეს ყველა დანარჩენი კითხვებიც: ფოსტა, ტელეგრაფი, ავიაცია, სისხლის სამართლისა თუ სხვა კანონმდებლობა. სულ ეს სფეროა საერთაშორისო განწყობილებისა და კერძო შეთანხმებისა და სრულებით არ არს საფუძველი იმის დასამტკიცებლად, რომ ვითომცდა ჩვენ უნდა რაღაც ავაშენოთ და ვუწოდოთ იმას კონფედერაცია.

ბატონებო! დროა შევწყვიტოთ ფანტაზიორობა და დავადგეთ რეალურ გზას. დიდი ხანია ჩვენ ავცდით რეალ პოლიტიკას და საშინაო ნიადაგს. ჯერ ჩვენ გვინდოდა დაგვეხსნა მთელი კაცობრიობა, მერე რუსეთი, ეხლა კი ვეცდებით მთელს კავკასიას ან ამიერკავკასიას და გვინდა ყველა ერი ავაშენოთ, გავახაროთ და გავანათლოთ. ჩვენ კი ვივიწყებთ ჩვენს სასიცოცხლო ინტერესებს და ისიც კი ვერ მოვიხმარია, რაცა გვაქვს, ის საერთაშორისო ჩვენი უფლებანი, რაც ოცი საუკუნის განმავლობაში ხმლითა და სისხლით გამოგლეჯია ბედის ხელიდან ჩვენს წინაპრებს. ბატონებო, თუ თქვენს პოზიციას საერთაშორისო განწყობილებაში გაამაგრებს ამ ეროვნული უფლებების დავიწყება და მიფუჩეჩება, მეც მზადა ვარ დავხიოთ და გადავყაროთ ეს „ქაღალდის ნაფლეთები". მაგრამ ტრაპიზუნდში მოლაპარაკებამ დაამტკიცა, რომ პირიქით, თუ გვინდა რამე შევინარჩუნოთ და აღვადგინოთ ჩვენი უფლებანი, სწორედ ამ უფლებებს უნდა დავებღაუჭოთ და გავამაგროთ იგი კაცობრიობის სინიდისის და შეგნების წინაშე. თქვენ იცით, რომ ოსმალეთი აქეთ მოიწევს, იმან თითქმის დაიპყრო ერთი ნაწილი ოზურგეთის და ახალციხის მაზრებისა. 1856 წელს კი, პარიზის ხელშეკრულების ძალით და იმ ოქმების ძალით, რომელიც ხელმოწერილია თვით ოსმალეთის მიერ, იმას ნება არა აქვს გადმოლახოს საზღვრები ახალქალაქის, ახალციხის და ოზურგეთის მაზრებისა. არ უნდა ვილაპარაკოთ ამაზე? თუ უნდა,—როდის? ნუ თუ ეხლაც ჩუმად უნდა ვიყოთ? ყველა ამაზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა საქართველო გამოვა საერთაშორისო ასპარეზზე, როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო (ტაში). თქვენ კი გინდათ მოაწყოთ რაღაც ფედერაცია თუ კონფედერაცია და ერთხელ კიდევ დამარხოთ საქართველოს ბედი. ამ ფუნაფური პოლიტიკური შენობის წამოხურულებით.

ვაცხადებ: საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მოითხოვს: ა) საქართველო უნდა გამოცხადდეს დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოდ (ტაში), ბ) კავკასიის სახელმწიფოთა საერთო ან სადავო საქმეების მოსაწყობად შეიძლება შეიქმნას რაიმე ორგანო სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან წინასწარ შეთანხმებულად.

პ. საყვარელიძე. ეს ხომ იგივე კონფედერაცია გამოვიდა.

გვაზავა. სრულებითაც არა, კონფედერაცია უსათუოდ ჰგულისხმობს რაიმე ძალის, რაიმე უფლების გადატანას ცენტრში, ჩვენს წინადადებას კი აზრად აქვს უბრალო კომისიის შექმნა, რომელსაც არავითარი ძალა და უფლება საქმეების საბოლოოდ გადასაწყვეტად არა აქვს. თქვენ ჰზღუდავთ საქართველოს სუვერენობას, ჩვენ კი ამისი წინააღმდეგნი ვართ. მეორე ნაწილი ჩვენი განცხადებისა შეიძლება სულ წაიშალოს, იმას არა აქვს პრინციპიალური ხასიათი. ჩვენ თუ მოვიხსენიეთ იგი, მხოლოდ იმისთვის, რომ არავინ იფიქროს, რომ ჩვენ ვითომცდა წინააღმდეგნი ვართ მოლაპარაკების და წინასწარ შეთანხმებისა. არა, ჩვენ ამის წინააღმდეგნი არა ვართ; ჩვენ ვამბობთ მხოლოდ, რომ ამნაირ შეთანხმებას და მოლაპარაკებას არა აქვს არავითარი საბოლოო და სავალდებულო მნიშვნელობა და ძალა, ვინაიდგან ყოველი საბოლოო და გადამწყვეტი ძალა-უფლება უნდა ჰქონდეს მხოლოდ საქართველოს პარლამენტს, რომელიც დამოუკიდებელია და სუვერენული.

რაც შეეხება თვითონ საქართველოს კონსტიტუციას, მოგახსენებთ, რომ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას დიდი ხანია აღიარებული აქვს, რომ ფორმა სახელმწიფოსი უნდა იყოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა. (ტაში).

პ. ხაზაშვილი (სოციალისტ-რევოლიუციონერი). აღნიშნავს, რომ მის პარტიას არ აქვს ამ საკითხზე საბოლოოდ აზრი გამოტანილი. სოც.-რევ. იცავს ერთა თავისუფლებას ისევე როგორც პიროვნების თავისუფლებას. ფრაქციის უმრავლესობა კი კონფედერაციის მომხრეა.

ფრაქციათა წარმომადგენლების მოხსენების დასრულებისას, შემოდის წინადადება, რომ ამ საკითხის შესახებ კამათი გადაიდოს. კამათი სამშაბათისთვის გადაიდო. ამის შემდეგ შეკითხვა.

შეკითხვა ხიზან გადმოხვეწილთა შესახებ

გ. ვეშაპელი. შემაქვს შემდეგი შეკითხვა: „უცხო ტომთა, კერძოდ სომეხთა, გადმოხვეწა საქართველოში საშიშ ხასიათს იღებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლტოლვილები ავრცელებენ ჩვენში ეპიდემიებს; გადმოხვეწილთა ნაწილი შეიარაღებული მოდის ჩვენს საზღვრებში რაც ხელს უწყობს ანარქიის გაგრძელებას.

საერთოდ ახლანდელი გადმოხვეწა უფრო მასსიურად მოწყობილ გამოსახლებას წააგავს.

ამ გადმოსახლებას შეუძლია სწორედ სახელმწიფო საზღვრების გამიჯვნის დროს დაგვიკარგოს კიდევ რამდენიმე ოლქი ისედაც ხელოვნურად აჭრელებულ აღმოსავლეთ საქართველოში.

ეროვნულმა საბჭომ უნდა დაავალოს აღმასრულებელ კომიტეტს მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად დაუყოვნებლივ განიხილოს ეს საკითხი და გამონახოს საჭირო ზომები, რათა დაცული იქნას მთელი ქართველი ერის არსებითი ინტერესები“.

თავმჯდომარის, გ. ლასხიშვილის წინადადებით ერ. საბჭომ მიანდო ეს საკითხი აღმასრულებელ კომიტეტს.

წერილი თელავიდან

(გაზ. „ერთობის“ საყურადღებოდ)

საზავო მოლაპარაკება და მისი საბედისწერო შედეგები, რომლებმაც საქართველოს სახელმწიფოებრივი ჩარჩო შესაძლებელია უკუღმა დაატრიალოს და მისი ეროვნული თვითარსებობა შავ სამარეს ამოაფაროს, დღეს მთელ შეგნებულ საზოგადოების გულისყურს იპყრობს. მართლაც და თუ ვისმე გულწრფელად სწამს სამშობლო, მისი დემოკრატია და მომავალი, რასაკვირველია, საშინელ სულიერ ტრაგედიას უნდა განიცდიდეს. ამ თვალხით შემოსილმა მომენტმა გააერთიანა დღეს საქართველოს დამაშვრებული და დაუძლურებული სხეული, ერთის გრძნობით და ერთის ენით ალაპარაკა იგი, ერთი ჩირაღდანი აანთო მის დანგრეულ კერაზე. ეს მეტად საგულისხმიერო და სასიქადულო მოვლენაა ყველა პოლიტიკურ მოღვაწისათვის, ვისაც კი გული შესტკივა მამულისათვის და ვისაც ოდნავ მაინც შერჩენია უნარი მოვლენათა ობიექტიურ შეფასებისა. დღეს ერთი დიადი ხმა გრგვინავს მთელ საქართველოში: „სამშობლოს ყოფნა არ ყოფნის საკითხი სწყდება, კმარა ძმათა შორის სისხლის ღვრა, დროა გონს მოსვლა და ფიზიკურ ძალის შექმნა მტრის დასახვედრად, გაამაგრეთ ჯარი, შეიტანეთ შიგ წესრიგი, შეგნება კარზე მომდგარ საფრთხისა. მაგრამ სამწუხაროდ ხანდახან დღვარძლით გაჟღენთილი მოწოდება დისონანსათ იჭრება ამ საერთო ეროვნულ ამოძახილში, ზრახავს აფეთქებულ ენტუზიაზმს და შურისა სთესავს საზოგადოების სხვადასხვა ნაწილებში. წაიკითხეთ გაზ. „ერთობის“ № 92 კორესპონდენცია თელავიდგან და თქვენ დაინახავთ წვრილფეხა პროვოკატორ-დემაგოგის [illegible] ჯირით, რომელიც ამოეფარებია ინტერნაციონალურ და სოციალისტურ ნიღაბს და თავის დაფარულ ქვენაგრძნობათა ამოძრავებულ ინსტიქტებით აღვივებს შუღლს ქართველთა შორის. კორესპონდენციის ავტორის ვანო ავაქიანცის გულისთქმა აშკარაა, მისი შოვინისტური სული გამოსჭვივის ყოველ სტრიქონში, ამიტომ გასაკვირველი არ არის მისგან ასეთი ხულიგნური გამოსვლა, მაგრამ სამწუხაროა, რომ გაზ. „ერთობა“ თავის ფურცლებზედ ათავსებს ამისთანა უპასუხისმგებლო „მეცნიერის“ წერილებს. ტერ-ავაქიანცი ვითომდა შეპყრობილია უსაზღვრო მწუხარებით და კავშირით მოსალოდნელ ანარქიისა და მის შედეგების გამო გულმტკივნეულად აღნიშნავს, რომ ამ საშინელ საფრთხის ბუდე და წყარო მე-8 პოლკიაო, სადაც არავითარი წეს-რიგი არც ოფიცრებში, არც ჯარისკაცებში არ არსებობსო. უნდა მოგახსენოთ, რომ ამისთანა უსირცხვილო ბრალდებისა და ჭორის გავრცელებისათვის ავაქიანცი სხვა დროსა და სხვა პირობებში ღირსია სულ სხვაგვარ პასუხისა, მაგრამ ძალაუნებურად ჭეშმარიტების ნათელსაყოფად იძულებული ვხდები მხოლოდ ასეთი პასუხი გავსცე. ახლად შემდგარ მე-8 პოლკში სამაგალითო დისციპლინაა და ვისაც აინტერესებს პოლკის ყოფა-ცხოვრება და ვითარება, შეუძლიან დარწმუნდეს, რომ დილის 6 საათიდგან ვიდრე სადილობამდე და საღამოს 4 ს. 6 საათამდე გამუდმებული სამხედრო ვარჯიშობა სწარმოებს. უბრალო დანაშაულისთვის, როგორც ოფიცერი ისე ჯარისკაცი სასტიკ პასუხისგებაში იძლევა და ეს გარემოება ჯარში არამც თუ უკმაყოფილებას არ იწვევს, არამედ თანაგრძნობასაც პოულობს, ვინაიდგან შეიგნეს, რომ უდისციპლინო ჯარი ბრბოს წარმოადგენს. მართალია, ჯარის მოწესრიგება ბ-ნ ავაქიანცებისთანებისთანა ვაჟბატონებისგან გარყვნილი, ძალიან ძნელი იყო, მაგრამ კომანდირის ბ-ნ თავაძის და ოფიცრების ენერგიულმა და დაუღალავმა შრომამ ეს დიდი დაბრკოლებაც დასძლია. შესაძლებელია ავაქოვს უწესოებად მიაჩნია ის, რომ ჯარი მიტინგებზედ არ გამოდის და მის ყურის დამატკბობელ „შიქასტებს“ არ ისმენს? ამაზედ კი უკაცრავად. მეორე ბრალდება ავაქიანცისა იმაშია, ვითომ ჯარში უკვე ისმის მუქარა: „დედას გიტირებთ ვიღაც წითელგვარდიელები ხართ, სდგება ჩვენი მე-8 პოლკი და აბა თუ ბიჭები ხართ წინ გადაგვიდექითო“. კატეგორიულად შეიძლება ითქვას, რომ არავითარი შურისძიების გრძნობას ჯარის მხრივ გვარდიისადმი ადგილი არა აქვს და ეს პროვოკაცია შექმნილია ავაქიანცის უსუფთაო გულითა და ბილწი გონებით და რა მიზანიც აქვს ეს ყველასათვის ცხადია. მესამე ბრალდების ხასიათი ბ-ნ ავაქიანცს გვაცნობს, როგორც მახვილგონებიან და ოხუნჯ „ჟურნალისტს“ და იმდენი მისი ნაკვესები ლიტერატურულ პანთეონში შეინახება. თურმე ნუ იტყვით, ანარქიის აფეთქების ნიშნები მოსჩანს იქიდგან, რომ ჯარში ქეიფი დაიწყოთ. თუ ბ-ნ ავაქოვი გულისხმობს აშკარა დემონსტრატიულ ქეიფს მისი ბრალდება მტკნარი სიცრუე და ინსინუაციაა და თუ დღეობაში სადმე უნახავს რამდენიმე მოქეიფე ჯარის-კაცი, ეს ვერაფერი დანაშაულია. უკანასკნელი ბრალდება პირდაპირ კომიკურია: ერთხელ ავაქოვს გაუბედნიერებია პოლკი და სწვევია ყაზარმაში და დახვდა უბედურება: მორიგე ოფიცერი არ დახვედრია. ალბად ბატონ ავაქიანცს სწყენია, რომ „რეპორტით“ არ მიეგებნენ და შესაფერ ზეიმით არ გაუმასპინძლდნენ. კმარა ბ-ნო ავაქიანცო ამოდენა თავხედობა, ხომ უკვე იგემეთ თქვენი პროვოკატორულ მოქმედების ნაყოფი, ნუღარ აღრმავებთ უფსკრულს ადგილობრივ ჯარსა და გვარდიის შორის, თორემ შეიძლება თქვენმა მოუფიქრებლად და ანგარიშმიუცემლად წამოსროლილმა სიტყვამ ცეცხლის ალში გახვიოს ორი მოძმე ერთეულება და ორივეს საზარე გაუთხაროს. იმედია რომ თქვენ პასუხს მოგთხოვენ სადაგანაც ჯერ არს და მაშინ დავინახავთ ვინც სტყუის.

გ. ყარჩაბაშ.

კორესპონდენცია

ზესტაფონიდან

ქ. ზესტაფონი. მაისის 11, საღამოს 7 საათზე, ივ. ლევინჯილიას თავმჯდომარეობით, მოხდა ზესტაფონის ქალაქის საბჭოს არა ჩვეულებრივი კრება. განსახილველი იყო სხვა და სხვა საკითხები: 1. წერილობითი შეკითხვა საბჭოსადმი ზესტაფონის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის კომიტეტისა იმ წერილის შესახებ, რომელიც იყო მოთავსებული გაზეთ „სოციალ-დემოკრატ“ში. ამ წერილის ავტორი, ვინმე მოქალაქე, შეუსაბამო და არასასიამოვნო მოვლენად სთვლიდა ქალაქის თვითმმართველობაში ისეთი ხმოსნის არჩევას, რომელსაც ბრალი ედება სხვისი ქონების მითვისებაში. ხმოსანი გველია (ერ. დემ.) აცხადებს: ჩვენ, ერ. დემოკრატებმა, გამოვიძიეთ და ასეთი პიროვნება ამ პარტიიდამ არც არავის წამოუყენებია და არცაა. ეს-დეკებს, ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, წინადადება შემოაქვთ: შევეკითხოთ გაზეთის რედაქციას გამოაშკარაოს ვინაობა იმ ხმოსნისა, რომელსაც გულისხმობს გაზეთი და მისი თანამშრომელი და მხოლოდ ამის შემდეგ დავსვათ მსჯავრი ამ პიროვნებასაო. ზოგი მათგანი გაიძახოდნენ: ეს ნომერი ჩვენ არ წაგვიკითხავს (?) და არა ვიცით რაო.

დაისვა ასეთი კითხვა: ჰსურს თუ არა მუშაობა ქალაქის თვითმართველობას? ამ კითხვამ დიდი კამათი გამოიწვია. უმოქმედობის მიზეზი ყოფილა გამგეობის ერთ ერთი წევრის (ეს-დეკ.) ამ სამი თვის განმავლობაში სხვა საქმეებისა გამო თავისი მოვალეობის აუსრულებლობა და მომენტის ბრალი. კომისიებს, გარდა ზოგიერთის, არაფერი გაუკეთებია. გამოირკვა, შეძლებისა და გვარად, მონაწილეობას ღებულობდა ზოგიერთს დაუყოვნებლივ საქმეების შესრულებაში, ერთი გამგეობის წევრი ბ. მ. გველია (ერ. დემ.). დაადგინეს: გამგეობის შემადგენლობა შეივსოს და ამიერიდან მიჰყოს ხელი სათანადო მოვალეობის ასრულებასო. ეს-დეკ ხმოსნებს მეორე გამგეობის წევრად ბ. ედიბერიძე არა ხმოსანთაგანი, წამოყენებული ჰყავდათ ქალაქის მოურავის მოადგილეთ, რომელმაც ამ კითხვის განხილვის დროს განაცხადა თავისი სურვილის შემოტანა ამ დღეებში. გარდა ამისა, მიუცილებლად მიიჩნია საბჭომ საგანგებო დღეები დანიშნოს კრების მოსახდენად და საპატიო მიზეზ გარეშე, დაუსწრებლობა კრებაზე დამნაშაოდ ჩაეთვალოს ხმოსანსო. მოქმედების ნაყოფიერებისთვის საბჭომ მოითხოვა დღეიდანვე შეუდგეს დაფასებას შემფასებელი კომისია, რომლის შემადგენლობას მოემატა ხუთი ხმოსანი, სამი წევრებად და ორი კანდიდატებად.

საბჭომ განიხილა და დაამტკიცა კომისიისაგან მიღებული პროექტი ქალაქის მოედნის იჯარით გაცემაზე, გასაყიდელ ცხოველებზე, წვრილ და სხვილ ფეხზე, ურემზე ნიხრის დადებაზე, საბაზრო მოედნიდან სავაჭრო კარვების იმ ადგილიდან მეორეზე გადატანისა და უფნის გვერდში სამი კარვის გაკეთების შესახებ.

საქალაქო ექიმი ბ. წერეთელი მოახსენებს საბჭოს: ა) ნაცვლად საავადმყოფოში განსვენებულის ექ. ვარლამ საყვარელიძის სახელობაზე ერთის საწოლის გამართვისა, ახლავე გახსნას ამ ადამიანის პატივსაცემად საქალაქო ამბულატორია მის სახელზე დ ხელმოკლე ავადმყოფთათვის იაფად პირველი დახმარების აღმოსაჩენად. 1 ოთახი შეიმკოს მისი სურათითო. ამ საქმის მოსაგვარებლად საჭიროა ქალაქმა გაიღოს წვლილი, ქალთა წრემ, რომლის განკარგულებაშია საწოლები, იარაღები და სალსარი, გადასდოს თავისის მხრით თანხა ამ უსაჭიროესი საქმისათვის. ექიმის ხარჯთ-აღრიცხვით თვიური გასავალი ამბულატორიისათვის დაახლოვებით იქნება 250—300 მანეთი. ბ) იგივე ექიმი გამოსთქვამს სურვილს: აქ დატოვილ 1000 სულ ლტოლვილთათვის ყარსის ოლქიდან ქალაქის თვითმართველობამ იზრუნოს, რადგან სანიტარულის მხრით ვაგონებში უნუგეშო მდგომარეობაში არიან, იგინი, შიმშილით და სნეულებით ბევრი იხოცება და მოსალოდნელია ქალაქს დიდი უბედურება დაატყდეს მათგანო. საბჭომ საჭიროდ დაინახა: ახლავე აცნობოს სათანადო მთავრობას მათის უზრუნველ ყოფისთვის, ან აქედამ გადაყვანით, ან ფულის გადადებით.

გამგეობის წევრი ბ. გველია საბჭოს მოახსენებს თბილისში მის მოგზაურობის შედეგს ზოგიერთი მასალების შესაძენად ქალაქთა კავშირისაგან.

დასასრულ ხმოსანს ანთაძეს წინადადება შეაქვს საბჭოში, რომ მან იშუამდგომლოს რკინის გზის გამგეობასთან სამგზავრო მატარებლების მიმოსვლის შესახებ იმ დროს, როგორც აქნამდი იყო, ე. ი. ზესტაფონიდან უნდა გავიდეს ქუთაისს დილით და იქიდან აქ მოვიდეს საღამოთი. წინადადება ერთხმად მიღებულ იქმნა. კრება დაიხურა 10 საათზე.

ეფრემ მცარე.

წერილი რედ. მიმართ

თელავის მე-8 პოლკის სატელეფონო კომანდა სასტიკ პროტესტს აცხადებს გაზეთ „ერთობის“ ფურცლებზე მოთავსებულ ვანო ავაქოვის წერილის გამო, რომელშიაც უსირცხვილოდ ცილსა სწამებს, სახელს უტეხავს ჩვენ პოლკს და ამწვავებს დამოკიდებულებას ჩვენსა და გვარდიის შორის.

კომანდის მონდობილებით:

განო ალაზნელი.

ლორი

(ВЕТЧИНА)

ისყიდება ნიხრზედ ნაკლებ ფასებში. ძველი სემინარიის შენობის ქვეშ, ხურციშვილის დუქანში იარმუკასთან და კერვალიშვილის დუქანში ოლღას ქუჩაზე, 40 ნომერში.

1—1613—1

ექიმი

დონხინი

პარიზის და ბერლინის უნივერსიტეტის ყოფილი დიდი ხნის ასსისენტი

იღებს თვალის ტკივილებით ავადმყოფებს

დილის 10—12 ს. საღ. 4—7 საათამდე. მიხეილის პროსპ. 76. (სიკინის კბილის საექიმო).

ტელეფონი 7—38.

თბილისის ქართველ ვაჭართა და მრეწველთა დროებითი საბჭო

ამით აცხადებს ქართველ ვაჭართა და მრეწველთა საყურადღებოდ, რომ დღიდან ამის გამოცხადებისა მათ, თანახმად ქართველ ვაჭართა და მრეწველთა 12 მაისის საზოგადო კრების დადგენილებისა, ეძლევათ ერთი კვირის ვადა იმ ფულის შემოსატანად, რომელიც მათზეა გაწერილი საქართველოს ეროვნულ საბჭოს სასარგებლოდ.

ვინც ამ ვადის განმავლობაში არ შემოიტანს ფულს, მათი სახელი და გვარი გაზეთებში იქნება გამოცხადებული, ხოლო ვიზედაც არც ეს ზომა იქონიებს გავლენას, მათ წინააღმდეგ იქნება მიღებული სასტიკი იძულებითი ზომები.

5—950—1

თბილისის პირველ კოოპერატიული სარძეო ფერმა

მიიღება წევრთა ჩაწერა. საწევრო გადასახადი, პირველ შესვლისას 10 მანეთი. თითო პაის ფასი—150 მანეთი. პაიების რიცხვი განსაზღვრულია. ფერმაში რძის გარდა შემზადდება ნაღები, მაწონი, აუდუღარ რძიდან შემზადებული ნაღები, კარაქი და აგრეთვე პასტერის წესით გაწმენდილი რძე და კეფირი. მუშაობას ხელმძღვანელობენ მეურნე-სპეციალისტები, თვალყურს ადევნებენ ექიმები. ფერმის მოსამსახურეთა შტატი და ადმინისტრაცია შესდგება განსაკუთრებით პაიების მყიდველთაგან.

კერძო პირების გარდა წევრებად მიიღებიან კოოპერატივები და საზოგადო სასადილოები, საჩაიები, საქველმოქმედო დაწესებულებანი: თავშესაფარები და სხვა ამგვარი. მათ უნდა შეიძინონ რამდენიმე პაი იმის მიხედვით, თუ რამდენი რძე დასჭირდებათ. საწევრო და პაის ფული მიიღება ყოველდღე დილის 10-დან ნაშუადღევის 2 ს.-მდე და საღ. 4—6 ს. ხაზინადარ ი. მ. დიაკონოვთან (გოლოვინის პრ. 8. კავკასიის ქალთა კოოპერატივის გამგეობა).

7—1612—1

ცხადდება, რომ შემოწირულება საქართველოს ეროვნული ფონდის გასაძლიერებლად მიიღება ეროვნულ საბჭოს სამმართველოში, (ფრეილინის ქუჩა, 11, საკუთარი სახლი) დილის 11—3-მდე

მომხმარებელ საზოგადოების

„დახმარების“

გამგეობა ამით აუწყებს საზოგადოების წევრებს, რომ საზოგადოების საქმე გაფართოვდა და ამ კვირას, აღდგომის წინა დღეებში, გაიხსნა განყოფილება

მთავარი მაღაზია მოთავსებულია ერევნის მოედანზე, ყოფილ ძმ. ფორაქიშვილების მაღაზიაში, ხოლო განყოფილება—ოლღას ქუჩაზე,—იქ, სადაც დღეს იმყოფება „დახმარება“.

საზოგადო კრების დადგენილებით თითო წევრმა უნდა გადიხადოს 5 მ. საწევრო ფული და 50 მ. საპაიო გადასახადი. წინად მიღებული ფული ჩაითვლება ამ თანხაში, ისე რომ ვისაც გადახდილი აქვს 18 მანეთი, უნდა ხანქართოდ შემოიტანოს დანარჩენი 42 მანეთი.

ფულის შეტანა და წევრად ჩაწერა შეიძლება დღეიდან ორთავე ზემოხსენებულს მაღაზიაში. აგრეთვე: წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (ივ. ბელიაშვილთან) და გაზეთ „საქართველოს“ კანტორაში (ევგენი გეგეჭკორთან).

ერევნის მოედანზე მაღაზია გაიღო აღდგომის წინა დღეებში.

მარტის 20 გაიხსნა ახალი

სამკურნალო

ყოველგვარ ავადმყოფთათვის

ექიმ ი. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანცის

საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.

მიხეილის პროსპექტის და („კიროჩნი“ ქუჩ. კუთხე № 22 შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

ღარიბები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

სამკურნალო კაბინეთი ექიმ

ალექსანდრე დავითის ძის კეკელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება ქალებთა და ბავშვთათვის 4—5 დანარჩენები 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნიუ“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

[illegible]

მოსე ანთიმოზის ძე

კალანდარიშვილი

უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებით ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7.

ტელ. № 17—21.

ექიმი

გ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ-ის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა. გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. იღებს: დილით 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, ყოველ დღე, გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლო, სასტუმრო „მო-მონდის“ პირდაპირ.

თ—1018—33

ექიმი

ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა (ხელოვნური პნევმოტორაქსი) ქარებით და სხვა შინაგან სნეულებათ ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 11—12 საათამდე და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

თ—1536—14

ექიმი

დიმიტრი (რამინ) იოსების ძე

ჟორდანია

სწამლობს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები, სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი საღამოს 5—7 საათ. კვირის გარდა.

გორის ქუჩა № 6, ლილუბე.

ტელეფონი 14—37

1თ—960—41

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა გაბაევის შესახვევი № 4.